ასოციაცია ანიკა იწვევს ინდივიდუალურ ტრენერს ან ტრენერთა ჯგუფს საქართველოს 4 რეგიონში - აჭარა, იმერეთი, კახეთი და სამცხე-ჯავახეთი, მინიმუმ 4 სოციალური სერვისისთვის, წინასწარ შემუშავებული სატრენინგო პროგრამების შესაბამისი ტრენინგების ჩასატარებლად.

პროექტის დასახელება: **"გარე მომსახურებაზე გატანილი სოციალური სერვისები საქართველოში-ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ხარისხიანი მომსახურებისთვის"**.

პრეოქტი ფინანსურად მხარდაჭერილია: **გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) და WV Germany-ის** მიერ

**პარტნიორები: World Vision საქართველო, KADC, BSI, CER**

## 1. დავალების მიზანი

დავალების მიზანია, ხელი შეუწყოს სოციალური სერვისების მიმწოდებელი, ადგილობრივი ორგანიზაციების (CSO-ების) უნარებისა და შესაძლებლობების გაძლიერებას ხარისხიანი და ინკლუზიური სერვისების მიწოდების მიმართულებით.

ამ მიზნით, ასოციაცია **„ანიკა"** იწვევს ინდივიდუალურ ტრენერს ან ტრენერთა ჯგუფს სამ რეგიონში — **აჭარაში, იმერეთსა და კახეთში** — „ანიკას" მიერ წინასწარ შემუშავებული მოდულების გამოყენებით ტრენინგების სერიის ჩასატარებლად.

აღნიშნული დავალება მოიცავს ორ ურთიერთ დაკავშირებულ კომპონენტს:

1. **თემატური ტრენინგების ჩატარება (ლიტი 1-5):**

   რომლებიც მომზადებულია პარტნიორი და სამიზნე ორგანიზაციების საჭიროებებზე დაყრდნობით და ეუძვნება და მოიცავს პრაქტიკულ მიდგომებს ხარისხიანი სოციალური სერვისების მიწოდებაში. ორგანიზაციის მიერ უკვე შემშავებული სატრენინგო მოდულის გამოყენებით ტრენერი(ები) ჩაატარებს თემატურ ტრენინგებს პარტნიორი ორგანიზაციებისთვის შემდეგი მიმართულებებით:

| | |
|---|---|
| ლოტი 1 | შშმ ბავშვთა დღის ცენტრი |
| ლოტი 2 | შშმ პირთა დღის ცენტრი |
| ლოტი 3 | ბავშვთა ადრეული განვითრება |
| ლოტი 4 | პერსონალური ასისტენტის სერვისი |
| ლოტი 5 | ბავშვისა და ოჯახის მხარდამჭერი სეერვისები |

2. **ტრენერთა ტრენინგის განხორციელება (ლოტი 6):**

„ანიკას“ მიერ შემუშავებული ტრენერთა ტრენინგის (ToT) პროგრამის განხორციელება, რომლის მიზანია პარტნიორი ორგანიზაციების (**KADC, BSI და CER** ) წარმომადგენელთა ტრენერული და ფასილიტაციის უნარის განვითარება ზემოაღნიშნული 5 თემატური მიმართულებით, რათა მათ შეძლონ მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული მიდგომების გამოყენებაროგორც საკუთარ ორგანიზაციებში, ასევე პროეტის 24 სამიზნე ორგანიზაციის გადამზადებაში.

## ამოცანები

ლოტების მიხედვით დავალების ძირითადი ამოცანებია:

**ლოტი 1–5 – თემატური ტრენინგი**

1. გააძლიეროს სამი პარტნიორი ორგანიზაციის (KADC, BSI და CER) ცოდნა და პრაქტიკული უნარები **GEDSI-მგრძნობიარე და ხარისხიან სოციალური მომსახურების მიწოდებაში**.
2. ხელი შეუწყოს პარტნიორი ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარებას **ინკლუზიური სერვისების დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით**
3. ხელი შეუწყოს საერთო გაგების ჩამოყალიბებას GEDSI პრინციპების ინტეგრირების თაობაზე ყოველდღიურ საქმიანობასა და ორგანიზაციულ პრაქტიკაში.

**ლოტი 6 – ტრენინგი ტრენინგის (ToT) პროგრამა**

1. განავითაროს პარტნიორი ორგანიზაციების (KADC, BSI და CER) წარმომადგენელთა **ტრენერობისა და ფასილიტაციის უნარები** ToT მიდგომის გამოყენებით.
2. უზრუნველყოს, რომ მონაწილეებმა შეძლონ მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გამოყენება როგორც საკუთარ ორგანიზაციებში, ასევე პროექტის 24 სამიზნე ორგანიზაციის გადამზადებისთვის.
3. დაეხმაროს 3 პარტნიორ ორგანიზაციას ცოდნის გაზიარების მექანიზმისა და ტრენინგების განმეორებითი განხორციელების გეგმის შემუშავებაში.

## 2. ტრენინგის შინაარსი და მოცულობა

• თემატური ტრენინგების (ლოტი 1-5) და ტრენერთა ტრენინგის ჩატარებას (ლოტი 6) საქართველოს სამ რეგიონში- აჭარა, იმერეთი, კახეთი.

**თემატური ტრენინგები (Lot 1–5):** განხორციელდება პროექტის ფარგლებში შემუშავებული მოდულებისა და ტრენინგ მასალების საფუძველზე;

- თითოეულ თემატურ მიმართულებაზე (Lot 1–5) ჩატარდება  1 სამდღიანი ტრენინგი სამ რეგიონში- შესაბამისად, სულ 15 ტრენინგი (45 სასწავლო დღე) სამ რეგიონში;
- თითოეულ ტრენინგს დაესწრება მინიმუმ 10 მონაწილე პარტნიორი და სამიზნე ორგანიზაციებიდან;
- ტრენინგები მოიცავს თეორიულ, პრაქტიკულ და ინტერაქტიულ კომპონენტებს, მათ შორის ჯგუფურ სამუშაოებსა და უკუკავშირის სესიებს;
- სწავლების ფორმატი უნდა იყოს GEDSI-სენსიტიური და მორგებული მონაწილეთა საჭიროებებსა და კონტექსტზე.

**ტრენერთა ტრენინგი (Lot 6 – ToT):**

• ჩატარდება  ერთი სამდღიანი ტრენინგი სამ რეგიონში, ჯამში 9 სასწავლო დღე;

• ფოკუსირებული იქნება პარტნიორი ორგანიზაციების (KADC, BSI და CER) წარმომადგენელთა ტრენერული და ფასილიტაციის უნარების განვითარებაზე;

• უზრუნველყოფს მონაწილეთა მომზადებას იმისთვის, რომ მათ შეძლონ მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული მიდგომების გამოყენება როგორც საკუთარი ორგანიზაციების შიგნით, ისე პროექტის 24 სამიზნე ორგანიზაციასთან;

• ტრენინგის შინაარსი დაფუძნებული იქნება იმავე თემატურ მიმართულებებზე, რომლებიც განისაზღვრება Lot 1–5 ფარგლებში, და მოიცავს პრაქტიკული სწავლების ელემენტებსა და ცოდნის გაზიარების მექანიზმების დაგეგმვას.

## 4. ტრენერის მოვალეობები

ტრენერი/ტრენერთა ჯგუფის მოვალეობებში შედის:

• ტრენინგის ჩატარება პროექტის ფარგლებში შემუშავებული  პროგრამის, მოდულისა და და მასალების შესაბამისად;
• თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების ინტეგრირება სწავლების პროცესში, ინტერაქტიული და GEDSI-სენსიტიური მეთოდების გამოყენებით;
• მონაწილეთა შეფასება  (პრე და პოსტ ტესტები) ცოდნისა და უნარების ცვლილების გამოსავლენად;

უკუკავშირის შეგროვება მონაწილეებისგან და შედეგების შეჯამება;
• ტრენინგის შემაჯამებელი ანგარიშის წარდგენა პროექტის გუნდისთვის.

1. ჩასაბარებელი მასალები და პროდუქტები:

- ტრენინგის გეგმა და დღის წესრიგი, შეთანხმებული ANIKA/WVGF-თან;
- ტრენინგის მასალები და პრეზენტაციები (ქართულ ენაზე)საჭიროების მიხედვით);
- ხუთი თემატური მიმართულებით (Lot 1–5) 3-დღიანი GEDSI-მგრძნობიარე ტრენინგის ჩატარება სამ რეგიონში, აჭარაში, იმერეთსა და კახეთში (KADC, BSI, CER); თითოეულ თემატურ მიმართულებაზე ჩატარდება ერთი სამდღიანი ტრენინგი თითო რეგიონში, სულ 15 ტრენინგი (45 სასწავლო დღე);
- ToT სესიების ჩატარება პარტნიორი ორგანიზაციებისთვის (9 დღე სულ);
- ტრენინგის წინასწარი და შემდგომი შეფასებები მონაწილეთა ცოდნის ცვლილების ასახვით;
- ფინალური შემაჯამებელი ანგარიში ინგლისურ ენაზე, რომელიც მოიცავს ჩატარებული ტრენინგების აღწერას, მონაწილეთა ჩართულობის ანალიზს, მიღწეულ შედეგებსა და რეკომენდაციებს შემდგომი განვითარებისათვის.

## 4. კვალიფიკაცია და გამოცდილება

• მინიმუმ მაგისტრის ხარისხი სოციალურ მეცნიერებებში, განათლებაში, საჯარო პოლოტიკაში ან შესაბამის დარგში;

- მინიმუმ 5-წლიანი პროფესიული გამოცდილება სოციალური სერვისების დაგეგმვასა და განხორციელებაში;
  • მინიმუმ 5 -წლიანი გამოცდილება ტრენინგებისა და ტრენერთა ტრენინგის ჩატარებაში, მათ შორის ინტერაქტიული და პრაქტიკული სწავლების მეთოდების გამოყენებით;
- უნარი შეიმუშაოს და წარმართოს ტრენინგის პროგრამა შეთანხმებული მიზნებისა და შედეგების შესაბამისად;
- • ანგარიშგების და დოკუმენტაციის მომზადების გამოცდილება ქართულ და ინგლისურე ენებზე.
  • გამოცდილება GEDSI პრინციპების ინტეგრირებაში პოლიტიკასა და პროგრამებში;
-

• სასურველია გამოცდილება რეგიონულ და საერთაშორისო პროექტებში.

## 5. შერჩევის პერიოდი:

კანდიდატის შერჩევა და მისი დაკონტრაქტება განხორციელდება 15 დეკემბრამდე,

## 6. შესრულების პერიოდი

დავალება უნდა განხორციელდეს 2026 წლის იანვარ–თებერვლის პერიოდში (2 თვის ვადაში).

## 7. ანაზღაურება და ხარჯები პირობები

ფინანსური შეთავაზება უნდა მოიცავდესერთი ტრენინგის ჩასატარებელ ფიქსირებულ ფასს სამივე რეგიონისთვის, რომელშიც ჯამურად გათვალისწინებულია:

1) ტრენერის ჰონორარი;
2) ტრანსპორტირების ხარჯი შესაბამის რეგიონში გამგზავრებისა და დაბრუნებისათვის;

საბოლოო ბიუჯეტი განსაზღვრულ უნდა იქნას იმ საფუძველზე, რამდენ ლოტსა და დავალებაზე წარადგენს განაცხადს კანდიდატი (Lot 1–6).
• ანაზღაურება განხორციელდება ეტაპობრივად — შესრულებული სამუშაოს ანგარიშის დამტკიცების შემდეგ.

## 8. ლოჯისტიკა

- ტრენერის განთავსება (სასტუმრო) და ტრენინგების ლანჩი უზრუნველყოფილი იქნება ასოციაცია „ანიკას" მიერ. ყველა ტრენინგი ჩატარდება პარტნიორი ორგანიზაციების ოფისებში შესაბამის რეგიონებში, აჭარაში, იმერეთსა და კახეთში.
- საჭიროების შემთხვევაში, ტრენერს ექნება წვდომა პროექტის საკომუნიკაციო მხარდაჭერაზე (დამატებითი მასალების ბეჭდვა, საკანცელარიო რესურსები, ტექნიკური მოწყობილობები და სხვ.).
- ყველა ტრენინგი უნდა ჩატარდეს შეთანხმებული განრიგისა და ფორმატის შესაბამისად, პარტნიორ ორგანიზაციებთან წინასწარი კოორდინაციით.

## 9. ანგარიშვალდებულება და ზედამხედველობა

შერჩეული ტრენერი ანგარიშვალდებული იქნება პროექტის მენეჯერთან და საჭიროების შემთხვევაში დონორთან.

## 10. განაცხადის წარდგენის ფორმატი

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:

I. ტექნიკური წინადადება:

1. განმცხადებლის ინფორმაცია (სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია);
2. გამოცდილების აღწერა, რომელიც ადასტურებს მოთხოვნილ კვალიფიკაციას;
3. სამუშაოს განხორციელების გეგმა და გრაფიკი;
4. CV.

II. ფინანსური წინადადება:

ცალკე ფაილად, ყველა ხარჯის მითითებით (ლარში, ყველა საგადასახადო ვალდებულების ჩათვლით, გარდა დამატებული ღირებულების გადასახადისა).

## 11. შეფასების კრიტერიუმები

- ტექნიკურ დავალებასთან შესაბამისობა – 40%;
- გასაუბრების შედეგი – 20%;
- ფინანსური შეთავაზების კონკურენტუნარიანობა – 40%.

## 12. წარდგენის ვადა და კონტაქტი

განაცხადები უნდა მოიგზავნოს ელფოსტაზე: anika.information@gmail.com

სათაურის ველში მიუთითეთ: „სოციალური სერვისების განვითარება – ტრენინგების ჩატარება“.

განცხადების გამოგზავნის ბოლო ვადა: 5 დეკემბერი

კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით პროექტის მენეჯერს:
chankvetadzemaka@gmail.com